


საქართველოს საგარეო ვაჭრობა

2017 წელი


2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 13.8%-ით გაიზარდა და 10 707.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

- ექსპორტი გაიზარდა 29.1%-ით და 2 728 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა;
- იმპორტი გაიზარდა 9.4%-ით და 7 979.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა;
- სავაჭრო ბალანსმა 5 251.1 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49% შეადგინა.

2017 წელს ექსპორტის წილი საგარეო ვაჭრობაში წინა წელთან შედარებით 22%-იდან 25%-მდე გაიზარდა, შესაბამისად უარყოფითი სავაჭრო ბალანსის წილი საგარეო ვაჭრობაში 6%-ით შემცირდა.



უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტის ზრდის უწყვეტი ტენდენცია 2016 წლის სექტემბრიდან შეიმჩნევა. კერძოდ, ყოველი თვე წინა წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად იზრდება (სექტემბერი - 8%, ოქტომბერი-1%, ნოემბერი-17%, დეკემბერი-5%, იანვარი-45%, თებერვალი-13%, მარტი -36%, აპრილი -28%, მაისი -25%, ივნისი-37%, ივლისი - 22%, აგვისტო - 26%, სექტემბერი-27%, ოქტომბერი - 38%, ნოემბერი - 8%, დეკემბერი - 50%).



საგარეო სავაჭრო ბრუნვის დინამიკა 2008-2017 წლებში

წლები	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა	7 797	5 609	6 913	9 259	10 433	10 933	11 463	9 497	9 400	10 707
ზრდის ტემპი (%)	21%	-28%	23%	33%	13%	5%	5%	-17%	-1%	13.8%
ექსპორტი	1 495	1 134	1 677	2 186	2 377	2 911	2 861	2 205	2 113	2 728.0
ზრდის ტემპი (%)	21%	-24%	48%	31%	8%	22%	-1.7%	-23%	-4%	29.1%
იმპორტი	6 302	4 476	5 236	7 072	8 056	8 023	8 602	7 292	7 287	7 979
ზრდის ტემპი (%)	21%	-29	17%	34%	14%	-0.2%	7%	-15%	-0.1%	9.4%
სალდო	-4 806	-3 342	-3 559	-4 886	-5 680	-5 112	-5 741	-5 088	-5 175	-5 251

რეგიონალური ვაჭრობა

საქართველო-ევროკავშირი

სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 2%-ით, 2 844 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 26.6% დაიკავა (2016-29.6%).

- ექსპორტი - 646.5 მლნ. აშშ დოლარი, 13%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 23.7% (2016-27.1%)
- იმპორტი - 2 197.5 მლნ. აშშ დოლარი, 0.8%-ით ნაკლები და საქართველოს იმპორტის 27.5% (2016-30.4%)

ევროკავშირში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 37%-ით (81.2 მლნ. აშშ დოლარით) შემცირდა და 140 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 44%-ით და შეადგინა 506.5 მლნ. აშშ დოლარი. (155.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

ექსპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია:

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 28.5 მლნ. აშშ დოლარი (30% და 6.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი (56%), ნიდერლანდები (21%), ესპანეთი (11%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: საფრანგეთი (58%) და ესპანეთი (3.1 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

ხილის ჯემები - ექსპორტი 6.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტი წინა წლებში არ დაფიქსირებულა).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ავსტრია (78%) და ბელგია (20%). უმნიშვნელო რაოდენობის ექსპორტი ასევე დაფიქსირდა გერმანიასა და პოლონეთში.

მინერალური წყალი - ექსპორტი 13.2 მლნ. აშშ დოლარი (8%-ით და 1.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ლიტვაში (96%), გაერთიანებულ სამეფოში (1%), ლატვიაში (1%)

- ექსპორტი გაიზარდა ლიტვაში (7%), ლატვიაში (42%)

ღვინო - ექსპორტი 14.9 მლნ. აშშ დოლარი (5%-ით და 0.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი (40%), ლატვია (24%), ესტონეთი (9%), გერმანია (8%), ლიტვა (6%), ნიდერლანდები (6%).
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთი (20%), ლატვია (27%), გერმანია (48%).
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ლიტვა (40%), ესტონეთი (15%).

ხილის წვენები - ექსპორტი 4.6 მლნ. აშშ დოლარი (121%-ით და 2.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (70%), საბერძნეთი (14%), უნგრეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანიაში (5-ჯერ), იტალიაში (26%);
- ექსპორტი შემცირდა საბერძნეთში (5%);

ხილის ჩირი - ექსპორტი 0.8 მლნ. აშშ დოლარი (21%-ით და 0.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (89%), ლატვია (6%), ჩეხეთი (4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: გერმანიაში (20%), ლატვიაში (3-ჯერ);

სოჭის თესლი - ექსპორტი 1.0 მლნ. აშშ დოლარი (45%-ით და 0.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: დანია (67%), გერმანია (19%)
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: დანიაში (57%), გერმანიაში (9%)

უალკოჰოლო გაზიანი სასმელები - ექსპორტი 0.7 მლნ. აშშ დოლარი (35%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (32%), ესტონეთი (21%), პოლონეთში (15%)
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: პოლონეთში (64%), გერმანიაში (68%)

სამრეწველო პროდუქცია:

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 245.3 მლნ. აშშ დოლარი (41%-ით და 71.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (64%), რუმინეთი (23%), ესპანეთი (13%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუმინეთი (5-ჯერ), ბულგარეთი (11%) და ესპანეთი (39%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 43.7 მლნ. აშშ დოლარი (81%-ით და 19.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (28%), ლიტვა (14%), პოლონეთი (13%), რუმინეთი (23%), ესპანეთი (9%);

- ექსპორტი გაიზარდა რუმინეთში (3-ჯერ) ხოლო პოლონეთსა და ლიტვაში წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა.

წვდელი ნავთობი - ექსპორტი 32.2 მლნ. აშშ დოლარი (20%-ით და 5.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (44%), ესპანეთი (31%), რუმინეთი (18%), ბულგარეთი (7%);
- ექსპორტი გაიზარდა: ესპანეთში და იტალიაში (წინა ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა)
- ექსპორტი შემცირდა: ბულგარეთში (46%), რუმინეთში (75%-ით).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტი 29.7 მლნ. აშშ დოლარი (7-ჯერ და 25.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: მალტა (64%), იტალია (30%), ესპანეთი (5%);
- ექსპორტი გაიზარდა: მალტა (15-ჯერ), იტალია (59-ჯერ), ესპანეთში (წინა ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);

ცხოველის სახლები - ექსპორტი 10.1 მლნ. აშშ დოლარი (26%-ით და 2.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (33%), ბელგია (25%), ნიდერლანდები (17%), პოლონეთი (18%), საფრანგეთი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა: ბელგიაში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ნიდერლანდები (50%), გერმანია (19%).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტი 5.0 მლნ. აშშ დოლარი (51%-ით და 1.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიტვა (64%), ლატვია (32%), ირლანდია (2%);
- ექსპორტი გაიზარდა ლიტვაში (97%), ლატვია (79%);
- ექსპორტი შემცირდა ბელგიაში (მიმდინარე წელს გავიდა უმნიშვნელო რაოდენობით).

რეზინის პნევმატური სალტეები და საბურავები - ექსპორტი 22.6 მლნ. აშშ დოლარი (49%-ით და 7.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები (82%), ბელგია (14%), გერმანია (3%);
- ექსპორტი გაიზარდა ნიდერლანდებში (54%), ბელგიაში (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);

ექსპორტის შემცირდა

თხილი და კაკალი - ექსპორტი 54.2 მლნ. აშშ დოლარი (63%-ით და 91.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (36%), გერმანია (27%), ჩეხეთი (8%), საფრანგეთი (6%), ლიტვა (5%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ესპანეთი (74%), გერმანია (70%), საფრანგეთი (66%), იტალია (59%), ჩეხეთი (43%),

პარკოსანი ბოსტნეულის ფქვილი - ექსპორტი 3.9 მლნ. აშშ დოლარი (44%-ით და 3.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (65%), საფრანგეთი (23%);
- ექსპორტი შემცირდა: გერმანია (65%), საფრანგეთში (16%)

ხილისა და ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 4.5 მლნ. აშშ დოლარი (38% და 2.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (40%), იტალია (13%), ჩეხეთი (12%);
- ექსპორტი შემცირდა გერმანიაში 64%-ით.

ფეროშენადნობები - ექსპორტი 17.3 მლნ. აშშ დოლარი (3%-ით და 0.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ესპანეთი (40%), ლუქსემბურგი (12%), საფრანგეთი (15%);
- ექსპორტი გაიზარდა ლუქსემბურგში (2.0 მლნ. აშშ დოლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა);
- ექსპორტი შემცირდა საბერძნეთში (72%-ით).

იმპორტი

ევროკავშირიდან **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** იმპორტმა 2017 წელს 272.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 23%-ით და 50.1 მლნ. აშშ დოლარით მეტია, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტმა შეადგინა 1 924.8 მლნ. აშშ დოლარი - 3%-ით და 67.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია.

იმპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ფრინველის ხორცი - იმპორტი 22.1 მლნ. აშშ დოლარი (40%-ით და 6.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ნიდერლანდები (43%), გერმანია (19%), ბელგია (12%), საფრანგეთი (10%)

სპირტიანი ალკოჰოლური სასმელები - იმპორტი 22.4 მლნ. აშშ დოლარი (40%-ით და 6.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: საფრანგეთი (29%), ლატვია (21%), გ/სამეფო (15%), ნიდერლანდები (15%), ფინეთი (8%)

შესქვლებული რძე - იმპორტი 7.5 მლნ. აშშ დოლარი (35%-ით და 1.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ნიდერლანდები (44%), საფრანგეთი (22%), გერმანია (14%).

ცხოველების საკვები - იმპორტი 12.4 მლნ. აშშ დოლარი (17%-ით და 1.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ესპანეთი (22%), იტალია (13%), პოლონეთი (14%), ნიდერლანდები (13%).

გაყინული თევზი - იმპორტი 6.9 მლნ. აშშ დოლარი (3%-ით და 0.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: ესპანეთი (41%), ნიდერლანდები (28%), გერმანია (10%).

სამრეწველო პროდუქცია

სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 211.0 მლნ. აშშ დოლარი (18%-ით და 32.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (17%), უნგრეთი (16%), ირლანდია (11%), საფრანგეთი (11%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 312.3 მლნ. აშშ დოლარი (1%-ით და 1.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუმინეთი (54%), ბულგარეთი (27%), საბერძნეთი (13%), გერმანია (2%).

სატვირთო ავტომობილები - იმპორტი 38.5 მლნ. აშშ დოლარი (13%-ით და 4.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: გერმანია (45%), ნიდერლანდები (13%).

იმპორტის კლება დაფიქსირდა

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 100.4 მლნ. აშშ დოლარი (24%-ით და 31.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: გერმანია (48%), საბერძნეთი (25%), ჩეხეთი (4%).

საჰაერო ან ვაკუუმირი ტუმბოები - იმპორტი 10.4 მლნ. აშშ დოლარი (79%-ით და 38.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: იტალია (54%), გერმანია (14%).

საქართველო-დსთ

დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 30.2%-ით, 3 541.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 33.1% დაიკავა (2016 წელს - 28.9%).

- ექსპორტი - 1 180.8 მლნ. აშშ დოლარი, 60%-ით მეტი და საქართველოს ექსპორტის 43.3% (2016 წელს - 34.9%);
- იმპორტი 2 361.1 მლნ. აშშ დოლარი, 19.2%-ით მეტი და საქართველოს იმპორტის 29.6% (2016 წელს - 27.2%).

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 44%-ით (146 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 474.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა შეადგინა 706.1 მლნ. აშშ დოლარი, 73%-ით და 297 მლნ. აშშ დოლარით მეტი.

ექსპორტის ზრდა განხორციელდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ღვინო - ექსპორტმა შეადგინა 130.7 მლნ. აშშ დოლარი (60%-ით და 49.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (76%), უკრაინა (14%), ყაზახეთი (6%), ბელარუსი (4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (77%), უკრაინა (44%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 82.6 მლნ. აშშ დოლარი (37%-ით და 22.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (29%), რუსეთი (27%), უკრაინა (24%), აზერბაიჯანი (9%), ბელარუსი (6%);
- ექსპორტი გაიზარდა: რუსეთში (81%), აზერბაიჯანში (4-ჯერ).

მინერალური წყლები - ექსპორტმა შეადგინა 79.7 მლნ. აშშ დოლარი (22%-ით და 14.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (57%), უკრაინა (21%), ბელარუსი (9%), ყაზახეთი (8%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (29%), უკრაინა (20%), ბელარუსი (41%).

თხილი - ექსპორტმა შეადგინა 19.8 მლნ. აშშ დოლარი (53%-ით და 6.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (59%), სომხეთი (24%), უკრაინა (12%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: სომხეთი (4.6 მლნ. აშშ დოლარით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში განხორციელდა მხოლოდ 50 ათასი აშშ დოლარის ექსპორტი), რუსეთი (23%), უკრაინა (35%);

კარტოფილი - ექსპორტმა შეადგინა 5.2 მლნ. აშშ დოლარი, (162%-ით და 3.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (97%), რუსეთი (2%), სომხეთი (1%).

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტმა შეადგინა 15.7 მლნ. აშშ დოლარი (47%-ით და 5.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (39%), რუსეთი (37%), სომხეთი (11%), ყაზახეთი (7%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (104%), აზერბაიჯანი (40%).

პომიდორი - ექსპორტმა შეადგინა 4.1 მლნ. აშშ დოლარი (83% და 1.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (83%) და უკრაინა (9%, წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (77%), უკრაინა (24-ჯერ).

სამრეწველო პროდუქცია

ფეროშენადნობები - ექსპორტმა შეადგინა 135.5 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და 89.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: რუსეთი (95%), აზერბაიჯანი (4%);
- ექსპორტი გაიზარდა: რუსეთში (3-ჯერ);

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტმა შეადგინა 183.9 მლნ. აშშ დოლარი (88%-ით და 86.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (48%), სომხეთი (27%), უკრაინა (17%), რუსეთი (7%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (80%), უკრაინა (4-ჯერ), სომხეთი (57%), რუსეთი (87%).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტმა შეადგინა 132 მლნ. აშშ დოლარი (31%-ით და 31.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: უზბეკეთი (40%), აზერბაიჯანი (17%), რუსეთი (9%), უკრაინა (8%), ბელარუსი (7%), სომხეთი (5%), თურქმენეთი (5%);
- ექსპორტი გაიზარდა: უკრაინა (17-ჯერ), რუსეთში (3-ჯერ), ბელარუსში (5-ჯერ).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - ექსპორტმა შეადგინა 12.5 მლნ. აშშ დოლარი (5-ჯერ და 10.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (85%), აზერბაიჯანი (14%);
- ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (8-ჯერ) და აზერბაიჯანში (63%).

ადამიანის სისხლი - ექსპორტმა შეადგინა 8.9 მლნ. აშშ დოლარი (34% და 2.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (68%), უზბეკეთი (29%);
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანში (40%), უზბეკეთში (11%).

ციანიდები და ოქსიციანიდები - ექსპორტმა შეადგინა 6.0 მლნ. აშშ დოლარი (24% და 1.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (62%), სომხეთი (35%);
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანში (48%).

ავოტოვანი სასუქები - ექსპორტმა შეადგინა 13.9 მლნ. აშშ დოლარი (41% და 4.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (51%), უკრაინა (49%);
- ექსპორტი გაიზარდა: უკრაინაში (6.8 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს ამ პროდუქციის ექსპორტი არ განხორციელებულა).

კოსმეტიკური საშუალებები - ექსპორტმა შეადგინა 4.7 მლნ. აშშ დოლარი (34% და 1.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (86%), აზერბაიჯანი (10%);
- ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (59%).

რეზინის პნევმატური სალტები - ექსპორტმა შეადგინა 5.4 მლნ. აშშ დოლარი (36% და 1.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (90%), რუსეთი (7%);
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანში (31%), რუსეთში (0.3 მლნ აშშ დოლარით, წინა წელს ამ პროდუქციის ექსპორტი არ განხორციელებულა).

მერქან-ბურბუშელის ფილები - ექსპორტმა შეადგინა 7.2 მლნ. აშშ დოლარი (112% და 3.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (52%), აზერბაიჯანი (48%);
- ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (11%), აზერბაიჯანში (3.4 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს ამ პროდუქციის ძალიან მცირე რაოდენობის ექსპორტი განხორციელდა).

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან - ექსპორტმა შეადგინა 10.9 მლნ. აშშ დოლარი (88% და 5.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (83%), უზბეკეთი (7%), თურქმენეთი (5%), სომხეთი (4%).
- ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (122%), უზბეკეთში (0.8 მლნ აშშ დოლარით, წინა წელს ამ პროდუქციის ექსპორტი არ განხორციელებულა).

სატვირთო ავტომობილები - ექსპორტმა შეადგინა 12.2 მლნ. აშშ დოლარი (98% და 6.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა ქვეყნებში: სომხეთი (69%), აზერბაიჯანი (23%), რუსეთი (4%).
- ექსპორტი გაიზარდა: სომხეთში (91%), აზერბაიჯანში (3-ჯერ), რუსეთში (3-ჯერ).

კირი ჩაუმქრალი - ექსპორტმა შეადგინა 2.8 მლნ. აშშ დოლარი (16%-ით და 0.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი სრულად განხორციელდა სომხეთში.

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 8%-ით (45.6 მლნ. აშშ დოლარით) გაიზარდა და 585 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის** ექსპორტმა შეადგინა 1 776 მლნ. აშშ დოლარი, 23%-ით და 333.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი.

იმპორტი გაიზარდა შემდეგი სასაქონლო პოზიციების ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ხორბალი - იმპორტმა შეადგინა 97.9 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 11.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი). იმპორტი სრული მოცულობით განხორციელდა რუსეთიდან.

ეთილის სპირტი - იმპორტმა შეადგინა 9.4 მლნ. აშშ დოლარი (8% და 0.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: სომხეთი (48%), რუსეთი (31%), მოლდოვა (15%).

შოკოლადის მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა 36.7 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 4.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (62%) და უკრაინა (30%).

სამრეწველო პროდუქცია

ნედლი ნავთობი - იმპორტმა შეადგინა 17.8 მლნ. აშშ დოლარი (59% და 6.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: თურქმენეთი (55%) და რუსეთი (45%).

ელექტროენერგია - იმპორტმა შეადგინა 66.7 მლნ. აშშ დოლარი (3-ჯერ და 44.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (71%), რუსეთი (20%), სომხეთი (10%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტმა შეადგინა 367.2 მლნ. აშშ დოლარი (24%-ით და 71.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (37%), აზერბაიჯანი (31%), თურქმენეთი (26%).

ნავთობის აირები - იმპორტმა შეადგინა 350.4 მლნ. აშშ დოლარი (11%-ით და 35.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (91%) და რუსეთი (9%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - იმპორტმა შეადგინა 247.3 მლნ. აშშ დოლარი (32%-ით და 60.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: სომხეთი (92%) და აზერბაიჯანი (8%).

იმპორტის კლება:

თამბაქოს მზა ნაწარმი - იმპორტმა შეადგინა 85.8 მლნ. აშშ დოლარი (6%-ით და 5.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: უკრაინიდან (90%) და რუსეთიდან (6%).

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - იმპორტმა შეადგინა 41.8 მლნ. აშშ დოლარი (12%-ით და 5.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა: უკრაინიდან (80%) და აზერბაიჯანიდან (17%).

ქვანახშირის კოქსი - იმპორტმა შეადგინა 19.0 მლნ. აშშ დოლარი (2% და 0.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (80%) და უკრაინა (20%).


მცენარეული ზეთი - იმპორტმა შეადგინა 35.9 მლნ. აშშ დოლარი (8%-ით და 3.3 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (81%), უკრაინა (13%).

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2017 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან სავაჭრო სავაჭრო ბრუნვაში 66.7% შეადგინა. პირველ ადგილზეა თურქეთი (1 589 მლნ. აშშ დოლარი, წილი 14.8%), მეორე ადგილზეა რუსეთი (1 184 მლნ. აშშ დოლარი, წილი 11%), ხოლო მე-3 ადგილზე ჩინეთი (939.5 მლნ. აშშ დოლარი, წილი 8.8%).


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2017 წლის ბრუნვის მიხედვით



საქართველოს ექსპორტი


2017 წელს, ექსპორტის მიხედვით საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა ექსპორტმა საქართველოს მთლიანი ექსპორტის 68.8% დაიკავა. პირველ ადგილზეა რუსეთი 14.5% წილით, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 10.0%-იანი წილით, ხოლო მესამე ადგილზეა თურქეთი 7.9%-იანი.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2016-2017 წლის ექსპორტის მიხედვით



2017 წელს საექსპორტო ათეულში, პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები - 419.8 მლნ. აშშ დოლარით და 15.4%-იანი წილით, მეორე ადგილზე ფეროშენადნობები - 306.9 მლნ. აშშ დოლარი და 11.3%, ხოლო მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილები 234.9 მლნ. აშშ დოლარი და 8.6%.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში 2017



ექსპორტი სტრუქტურულ ჭრილში

სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის ექსპორტმა 777 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა (12%-ით და 83.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი), ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტმა 1 951 მლნ. აშშ დოლარი (37%-ით და 531.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

2017 წელს ექსპორტის 29%-ით და 615 მლნ. აშშ დოლარით ზრდა ძირითადად განხორციელდა შემდეგი პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხარჯზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ცხვრის ხორცი - ექსპორტი 23.8 მლნ. აშშ დოლარი (6-ჯერ და 20 მლნ აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ირანი (22.3 მლნ. აშშ დოლარი და 94%), ქუვეითი (0.8 ათასი აშშ დოლარი და 3.5%), ა/გ ემირატები (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 2.5%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: ირანში (8-ჯერ), ქუვეითში (5-ჯერ).

შინაური ფრინველი ცოცხალი - ექსპორტი 1.2 მლნ. აშშ დოლარი (4-ჯერ და 0.9 მლნ აშშ დოლარით მეტი).

- ექსპორტი განხორციელდა: აზერბაიჯანში (93%), სომხეთში (7%)
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანში (4-ჯერ), სომხეთი (172%).

ხილის ჯემები - ექსპორტი 6.8 მლნ. აშშ დოლარი (17-ჯერ და 6.4 მლნ აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ავსტრია (4.9 მლნ. აშშ დოლარი და 73%), ბელგია (1.3 მლნ. აშშ დოლარი და 19%), რუსეთი (0.4 მლნ. აშშ დოლარი და 6%);

- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: ავსტრიასა (4.9 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა) და ბელგიაში (1.3 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

მინერალური წყალი - ექსპორტი 95.8 მლნ. აშშ დოლარი (20%-ით და 15.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (45.6 მლნ. აშშ დოლარი და 48%), უკრაინა (16.7 მლნ. აშშ დოლარი და 17%), ლიტვა (12.6 მლნ. აშშ დოლარი და 13%), ბელარუსი (7.3 მლნ. აშშ დოლარი და 8%), ყაზახეთი (6.1 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (29%), უკრაინა (20%), ბელარუსი (41%), ლიტვა (7%).

ღვინო - ექსპორტი 171 მლნ. აშშ დოლარი (51%-ით და 57.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (98.8 მლნ. აშშ დოლარი და 58%), ჩინეთი (20.3 მლნ. აშშ დოლარი და 12%), უკრაინა (17.8 მლნ. აშშ დოლარი და 10%), ყაზახეთი (7.8 მლნ. აშშ დოლარი და 5%), პოლონეთი (5.9 მლნ. აშშ დოლარი და 3%), ბელარუსი (4.6 მლნ. აშშ დოლარი და 3%), ლატვია (3.5 მლნ. აშშ დოლარი და 2%), აშშ (1.8 მლნ. აშშ დოლარი და 1%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (77%), ჩინეთი (45%), უკრაინა (44%), ბელარუსი (37%), პოლონეთი (20%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: ლიტვა (40%), გაერთ. სამეფო (61%), ყირგიზეთი (45%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 126.6 მლნ. აშშ დოლარი (38%-ით და 34.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი (23.7 მლნ. აშშ დოლარი და 19%), რუსეთი (22.7 მლნ. აშშ დოლარი და 18%), უკრაინა (20.2 მლნ. აშშ დოლარი და 16%), საფრანგეთი (15.9 მლნ. აშშ დოლარი და 13%), აზერბაიჯანი (7.1 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ნიდერლანდები (5.9 მლნ. აშშ დოლარი და 5%), სინგაპური (5.9 მლნ. აშშ დოლარი და 5%), ბელარუსი (4.9 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (81%), საფრანგეთი (58%), აზერბაიჯანში (4-ჯერ), ესპანეთი (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა, 3.1 მლნ. აშშ დოლარით), უკრაინა (16%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: გაერთიანებული სამეფო (81%), ერაყი (69%) და იტალია (100%).

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 17.9 მლნ. აშშ დოლარი (52%-ით და 6.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი (6.0 მლნ. აშშ დოლარი და 34%), რუსეთი (5.8 მლნ. აშშ დოლარი და 33%), სომხეთი (1.8 მლნ. აშშ დოლარი და 10%);
- ექსპორტი გაიზარდა: ქვეყნებში: რუსეთი (104%), აზერბაიჯანი (40%), ირანი (5-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა: სომხეთში (20%), საბერძნეთი (63%).

კენკროვანი ხილი - ექსპორტი 3.3 მლნ. აშშ დოლარი (8%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (1.9 მლნ. აშშ დოლარი და 58%), უკრაინა (0.9 მლნ. აშშ დოლარი და 26%), იაპონია (0.14 მლნ. აშშ დოლარი და 4%), სომხეთი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 5%);
- ექსპორტი გაიზარდა: ქვეყნებში: რუსეთი (13%), იაპონიაში (9-ჯერ);

- ექსპორტი შემცირდა: უკრაინაში (20%).

კურკოვანი ხილი ახალი - ექსპორტი 4.4 მლნ. აშშ დოლარი (52%-ით და 1.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (3.8 მლნ. აშშ დოლარი და 87%), აზერბაიჯანი (0.2 მლნ. აშშ დოლარი და 4%)
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: რუსეთში (53%), სომხეთში (18-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა: ყაზახეთში (33%-ით).

კარტოფილი - ექსპორტი 5.2 მლნ. აშშ დოლარი (162% და 3.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ექსპორტის 97% გავიდა აზერბაიჯანში (გაიზარდა 158%-ით);

პომიდორი - ექსპორტი 4.3 მლნ. აშშ დოლარი (89%-ით და 2.0 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (3.5 მლნ. აშშ დოლარი და 81%), უკრაინა (0.4 მლნ. აშშ დოლარი და 8%), სომხეთი (0.18 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: რუსეთი (77%), უკრაინა (24-ჯერ);
- ექსპორტი შემცირდა: ყაზახეთში (51%).

ხორბლის ფქვილი - ექსპორტი 6.5 მლნ. აშშ დოლარი (165%-ით და 4.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ანგოლა (6.3 მლნ. აშშ დოლარი და 97%), სომხეთი (0.1 მლნ. აშშ დოლარი და 1%)
- ექსპორტი გაიზარდა: ანგოლაში 3-ჯერ.

სიგარეტები - ექსპორტი 41.8 მლნ. აშშ დოლარი (4-ჯერ და 31.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი (24.5 მლნ. აშშ დოლარი და 59%), ყაზახეთი (9.8 მლნ. აშშ დოლარი და 23%), სინგაპური (4.8 მლნ. აშშ დოლარი და 11%),
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანი (21-ჯერ), ყაზახეთში (6-ჯერ),
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: თურქეთში (87%-ით), საბერძნეთში (70%-ით),

სამრეწველო პროდუქცია

ფეროშენადნობები - ექსპორტი 306.9 მლნ. აშშ დოლარი (81%-ით და 137.6 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (129.2 მლნ. აშშ დოლარი და 42%), აშშ (104.3 მლნ. აშშ დოლარი და 34%), თურქეთი (24.5 მლნ. აშშ დოლარი და 8%), მექსიკა (11.4 მლნ. აშშ დოლარი და 4%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუსეთი (228%), აშშ (82%), თურქეთი (109%).
- ექსპორტი შემცირდა: კანადაში (7.3 მლნ. აშშ დოლარით, 2017 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), საბერძნეთში (72%).

სპილენძის მადნები - ექსპორტი 419.8 მლნ. აშშ დოლარი (34%-ით და 107.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი (169.6 მლნ. აშშ დოლარი და 40%), ბულგარეთი (157 მლნ. აშშ დოლარი და 37%), რუმინეთი (57.6 მლნ. აშშ დოლარი და 14%) და ესპანეთი (30.7 მლნ. აშშ დოლარი და 7%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: რუმინეთი (6-ჯერ), ჩინეთი (29%), ბულგარეთი (11%).
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: შვეიცარია (6.1 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

სამკურნალო საშუალებები - ექსპორტი 140.6 მლნ. აშშ დოლარი (31%-ით და 33.1 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი (52.7 მლნ. აშშ დოლარი და 37%), აზერბაიჯანი (22.3 მლნ. აშშ დოლარი და 16%), რუსეთი (11.3 მლნ. აშშ დოლარი და 8%), უკრაინა (10.4 მლნ. აშშ დოლარი და 7%), ბელარუსი (9.0 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა (17-ჯერ), რუსეთი (212%), ბელარუსი (5-ჯერ), თურქმენეთი (4-ჯერ).

ხის ნაწარმი (ცხოველთა სახლები) - ექსპორტი 10.3 მლნ. აშშ დოლარი (27%-ით და 2.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია (3.3 მლნ. აშშ დოლარი და 32%), ბელგია (2.6 მლნ. აშშ დოლარი და 25%), პოლონეთი (1.9 მლნ. აშშ დოლარი და 18%), ნიდერლანდები (1.7 მლნ. აშშ დოლარი და 16%).
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: ბელგიაში (24-ჯერ), პოლონეთში (5-ჯერ), საფრანგეთში (13-ჯერ).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტმა შეადგინა 234.9 მლნ. აშშ დოლარი (41%-ით და 68.3 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი (88.2 მლნ. აშშ დოლარი და 38%), სომხეთი (49.5 მლნ. აშშ დოლარი და 21%), უკრაინა (32.1 მლნ. აშშ დოლარი და 14%), ა/გ ემირატები (20.1 მლნ. აშშ დოლარი და 9%), რუსეთი (13.1 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- ექსპორტი გაიზარდა ქვეყნებში: აზერბაიჯანი (80%), უკრაინა (4-ჯერ), სომხეთი (57%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: შვეიცარია (მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა და 27.7 მლნ. აშშ დოლარით).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 76.4 მლნ. აშშ დოლარი (16%-ით და 10.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბულგარეთი (12.4 მლნ. აშშ დოლარი და 16%), რუმინეთი (9.9 მლნ. აშშ დოლარი და 13%), სომხეთი (7.2 მლნ. აშშ დოლარი და 9%), უკრაინა (6.8 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ლიტვა (6.4 მლნ. აშშ დოლარი და 8%).
- ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ქვეყნებში: უკრაინაში (9%), რუმინეთში (3-ჯერ).
- ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: ინდოეთში (22%), თურქეთში (7%), სომხეთში (74%).

პლასტმასის შესაფუთი მასალა - ექსპორტი 6.0 მლნ. აშშ დოლარი (70%-ით და 2.5 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი (4.4 მლნ. აშშ დოლარი და 74%), სომხეთი (1.3 მლნ. აშშ დოლარი და 22%);
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანში (104%), ყაზახეთში (0.12 მლნ. აშშ დოლარით, წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

რეზინის საბურავები - ექსპორტი 29.1 მლნ. აშშ დოლარი (47%-ით და 9.2 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ნიდერლანდები (18.6 მლნ. აშშ დოლარი და 64%), აზერბაიჯანი (4.9 მლნ. აშშ დოლარი და 17%), ბელგია (3.3 მლნ. აშშ დოლარი და 11%);
- ექსპორტი გაიზარდა: ნიდერლანდებში (54%), ბელგიაში (3.3 მლნ. აშშ დოლარი, წ/წ ექსპორტი არ განხორციელებულა), აზერბაიჯანში (31%).

მერქან ბურბუშელის ფილები - ექსპორტი 7.2 მლნ. აშშ დოლარი (114%-ით და 3.8 მლნ. აშშ დოლარით მეტი);

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი (3.7 მლნ. აშშ დოლარი და 52%), აზერბაიჯანი (3.4 მლნ. აშშ დოლარი და 48%);
- ექსპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანში (3.4 მლნ. აშშ დოლარით, 2016 წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), სომხეთში (11%).

ექსპორტი შემცირდა

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტი 36.0 მლნ. აშშ დოლარი (2% და 0.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ერაყი (26.1 მლნ. აშშ დოლარი და 73%), აზერბაიჯანი (9.8 მლნ. აშშ დოლარი და 27%);
- ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: ერაყი (15%-ით), ეგვიპტე (2017 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა და 3.5 მლნ. აშშ დოლარით), საუდის არაბეთი (2017 წელს ექსპორტი არ განხორციელებულა და 0.7 მლნ. აშშ დოლარით).

თხილი - ექსპორტი 83.1 მლნ. აშშ დოლარი (54%-ით და 96.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: იტალიაში (19.7 მლნ. აშშ დოლარი და 24%), გერმანიაში (14.4 მლნ. აშშ დოლარი და 17%), რუსეთში (11.7 მლნ. აშშ დოლარი და 14%), სომხეთში (4.7 მლნ. აშშ დოლარი და 6%), ჩეხეთში (4.6 მლნ. აშშ დოლარი და 5%);

- ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: გერმანია (70%), იტალია (59%), ესპანეთი (74%), საფრანგეთი (66%), სლოვაკეთი (70%).

ციტრუსი - ექსპორტი 11.4 მლნ. აშშ დოლარი (6%-ით და 0.8 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: რუსეთში (7.5 მლნ. აშშ დოლარი და 66%), უკრაინა (2.1 მლნ. აშშ დოლარი და 18%), სომხეთში (1.3 მლნ. აშშ დოლარი და 12%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: უკრაინა (35%), სომხეთი (19%);

პარკოსანი ბოსტნეულის ფკვილი - ექსპორტი 5.2 მლნ. აშშ დოლარი (28%-ით და 2.0 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- ძირითადი ექსპორტი განხორციელდა: გერმანიაში (2.5 მლნ. აშშ დოლარი და 48%), თურქეთში (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 23%), საფრანგეთში (0.9 მლნ. აშშ დოლარი და 17%);
- ექსპორტი შემცირდა შემდეგ ქვეყნებში: გერმანიაში (50%), ჩეხეთში (59%);

თევზის ფკვილი - ექსპორტი 13.1 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და 2.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები);

- საექსპორტო ბაზრები: თურქეთი (10.4 მლნ. აშშ დოლარი და 80%), სომხეთი (1.9 მლნ. აშშ დოლარი და 14%), ტაივანი (0.8 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- ექსპორტი შემცირდა ქვეყნებში: თურქეთი (24%), ტაივანი (24%);

თევზის ცხიმი - ექსპორტი 7.4 მლნ. აშშ დოლარი (24%-ით და 1.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- საექსპორტო ბაზრები: თურქეთი (4.3 მლნ. აშშ დოლარი და 57%), პერუ (3.1 მლნ. აშშ დოლარი და 41%), სომხეთი (0.08 მლნ. აშშ დოლარი და 1.0%) და აზერბაიჯანი (0.04 მლნ. აშშ დოლარი და 0.5%);
- ექსპორტი შემცირდა: ჩილეში (მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა და 0.6 მლნ. აშშ დოლარით), თურქეთში (9%-ით).

თევზი გაყინული - ექსპორტი 2.4 მლნ. აშშ დოლარი (70%-ით და 5.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- საექსპორტო ბაზრები: ყაზახეთი (0.8 მლნ. აშშ დოლარი და 35%), სომხეთი (0.7 მლნ. აშშ დოლარი და 28%), აზერბაიჯანი (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 25%);
- ექსპორტი შემცირდა: ყაზახეთში (87%-ით), რუსეთში (მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა და 0.2 მლნ. აშშ დოლარით).

სამრეწველო პროდუქცია

ელექტრონერგია - ექსპორტი 18.2 მლნ. აშშ დოლარი (19%-ით და 4.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- საექსპორტო ბაზრები: თურქეთი (12.0 მლნ. აშშ დოლარი და 66%), სომხეთი (3.5 მლნ. აშშ დოლარი და 19%), რუსეთი (2.6 მლნ. აშშ დოლარი და 14%);
- ექსპორტი შემცირდა: სომხეთში (47%), თურქეთში (9%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დამუშავებული ტყავი - ექსპორტი 0.9 მლნ. აშშ დოლარი (71%-ით და 2.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- საექსპორტო ბაზრები: თურქეთი (0.6 მლნ. აშშ დოლარი და 67%), იტალია (0.3 მლნ. აშშ დოლარი და 33%)
- ექსპორტი შემცირდა: იტალიაში (86%), თურქეთში (25%)

ტრიკოტაჟის ნაწარმი მამაკაცისთვის (6103) - ექსპორტი 9.7 მლნ. აშშ დოლარი (5%-ით და 0.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზარი: თურქეთი (99%)
- ექსპორტი შემცირდა: თურქეთში (5%-ით).

ლაზადები ქალის - ექსპორტი 7.3 მლნ. აშშ დოლარი (18%-ით და 1.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია (81%), გერმანია (15%)
- ექსპორტი შემცირდა: იტალიაში (17%), გერმანიაში (20%).

მინის ტევადობები - ექსპორტი 5.2 მლნ. აშშ დოლარი (3%-ით და 0.2 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი (57%), აზერბაიჯანი (25%), იტალია (15%);
- ექსპორტი შემცირდა: იტალიაში (78%).


მანგანუმის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 3.3 მლნ. აშშ დოლარი (81%-ით და 14.6 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი (36%), ჩინეთი (28%), უზბეკეთი (28%).
- ექსპორტი შემცირდა: ჩინეთში (93%), აშშ-ში (მიმდინარე წელს ექსპორტი არ განხორციელებულა და 0.8 მლნ. აშშ დოლარით).

იმპორტი


2017 წელს, იმპორტის მიხედვით სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი ათეულის ჯამურმა იმპორტმა საქართველოს მთლიანი იმპორტის 66.9% დაიკავა. პირველ ადგილზეა თურქეთი 17.2%-იანი წილით, მეორე ადგილზე რუსეთი 9.9%-იანი წილით, მესამე ადგილზეა ჩინეთი 9.2%-იანი წილით.

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2016-2017 წლის იმპორტის მიხედვით



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2017 წელს ნავთობი და ნავთობპროდუქტები იყო 696.6 მლნ. აშშ დოლარის და მთელი იმპორტის 8.7% შეადგინა. მეორე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 474.4 მლნ. აშშ დოლარი - 6%, მესამე ადგილზეა ნავთობის აირები 350.4 აშშ დოლარით და იმპორტის 4.4%-ით.

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში 2017 წელს



ძირითადი საიმპორტო პროდუქცია სტრუქტურულ ჭრილში

2017 წელს მონაცემებით საქართველოს იმპორტში **სასოფლო - სამეურნეო პროდუქციამ** 1 172 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 10%-ით და 108 მლნ. აშშ დოლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით; **სამრეწველო პროდუქციამ** 6 807.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 9%-ით და 577 მლნ. აშშ დოლარით მეტია.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ღორის ხორცი - იმპორტი 34.7 მლნ. აშშ დოლარი (33%-ით და **8.6** მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ბრაზილია (15.7 მლნ. აშშ დოლარი და 45%), უკრაინა (6.7 მლნ. აშშ დოლარი და 19%), კანადა (4.4 მლნ. აშშ დოლარი და 13%), ესპანეთი (2.5 მლნ. აშშ დოლარი და 7%);
- იმპორტი გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: უკრაინა (159%), კანადა (4-ჯერ).

ხორბალი და მესლინი - 98.0 მლნ. აშშ დოლარი (14%-ით და **11.9** მლნ. აშშ დოლარით მეტი). იმპორტის თითქმის სრული მოცულობა განხორციელდა რუსეთიდან (99%, 97.8 მლნ. აშშ დოლარი).

წაღების კარაქი - 17.9 მლნ. აშშ დოლარი (8%-ით და **1.3** მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა (7.5 მლნ. აშშ დოლარი და 42%), საფრანგეთი (3.1 მლნ. აშშ დოლარი და 17%), ბელარუსი (2.3 მლნ. აშშ დოლარი და 13%), ფინეთი (2.1 მლნ. აშშ დოლარი და 12%), ურუგვაი (1.1 მლნ. აშშ დოლარი და 6%).
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: ბელარუსი (4-ჯერ), უკრაინა (21%), საფრანგეთი (50%);

სპირტიანი სასმელები - 33.6 მლნ. აშშ დოლარი (41%-ით და **9.8** მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი (6.4 მლნ. აშშ დოლარი და 19%), ლატვია (4.6 მლნ. აშშ დოლარი და 14%), აშშ (3.4 მლნ. აშშ დოლარი და 10%), გაერთ. სამეფო (3.4 მლნ. აშშ დოლარი და 10%).
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: ლატვია (103%), აშშ (76%), სომხეთი (4-ჯერ), საფრანგეთი (20%);

სამრეწველო პროდუქცია

სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 346.2 მლნ. აშშ დოლარი (6%-ით და **20.1** მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: თურქეთი (68.4 მლნ. აშშ დოლარი და 20%), გერმანია (36.4 მლნ. აშშ დოლარი და 11%), უნგრეთი (34.7 მლნ. აშშ დოლარი და 10%), ირლანდია (23.7 მლნ. აშშ დოლარი და 7%), საფრანგეთი (23.2 მლნ. აშშ დოლარი და 7%).

- იმპორტი გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: თურქეთი (34%), უნგრეთი (26%), ირლანდია (34%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: კანადა (98% და 35.4 მლნ. აშშ დოლარით), ინდოეთი (31%).

ნავთობის აირები - იმპორტი 350.4 მლნ. აშშ დოლარი (11%-ით და 35.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (318.0 მლნ. აშშ დოლარი და 91%), რუსეთი (32.4 მლნ. აშშ დოლარი და 9%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (14%) და რუსეთი (5%).

ელექტროენერჯია - იმპორტი 66.7 მლნ. აშშ დოლარი (205%-ით და 44.9 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (47.1 მლნ. აშშ დოლარი და 71%), რუსეთი (13.2 მლნ. აშშ დოლარი და 20%), სომხეთი (6.4 მლნ. აშშ დოლარი და 10%; წ/წლის ანალოგიურ პერიოდში სომხეთიდან იმპორტი არ განხორციელებულა);
- იმპორტი გაიზარდა: აზერბაიჯანიდან (8-ჯერ);
- იმპორტი შემცირდა: რუსეთიდან (18%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 696.6 მლნ. აშშ დოლარი (12%-ით და 76.4 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუმინეთი (167.7 მლნ. აშშ დოლარი და 24%), რუსეთი (134.7 მლნ. აშშ დოლარი და 19%), აზერბაიჯანი (112.5 მლნ. აშშ დოლარი და 16%), თურქმენეთი (94.2 მლნ. აშშ დოლარი და 14%), ბულგარეთი (83.3 მლნ. აშშ დოლარი და 12%), საბერძნეთი (42.0 მლნ. აშშ დოლარი და 6%); ყაზახეთი (20.9 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- იმპორტი გაიზარდა შემდეგი ქვეყნებიდან: რუსეთი (32%), თურქმენეთი (31%), ყაზახეთი (3%), აზერბაიჯანი (7%), საბერძნეთი (21%);
- იმპორტი შემცირდა შემდეგი ქვეყნებიდან: იტალია (90%) , რუმინეთი (3%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - იმპორტი 338.3 მლნ. აშშ დოლარი (36%-ით და 89.7 მლნ. აშშ დოლარით მეტი).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა შემდეგი ქვეყნებიდან: სომხეთი (226.6 მლნ. აშშ დოლარი და 67%), ჩილე (46.1 მლნ. აშშ დოლარი და 14%), ბრაზილია (44.8 მლნ. აშშ დოლარი და 13%);
- იმპორტი გაიზარდა: სომხეთიდან (33%), ჩილედან (224%), ბრაზილიიდან (86%);
- საანგარიშო პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა ქვეყნებიდან: პერუ (წ.წ 11.0 მლნ აშშ დოლარი), სინგაპური (წ.წ 4.6 მლნ. აშშ დოლარი), პორტუგალია (წ.წ 3.5 მლნ. აშშ დოლარი), შვეიცარია (წ.წ 3.0 მლნ. აშშ დოლარი) და მაროკო (წ.წ 1.2 მლნ. აშშ დოლარი).

იმპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე

მცენარეული ზეთი - იმპორტი 36.2 მლნ. აშშ დოლარი (9%-ით და 3.5 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: რუსეთი (28.9 მლნ. აშშ დოლარი და 80%), უკრაინა (4.8 მლნ. აშშ დოლარი და 13%), აზერბაიჯანი (2.1 მლნ. აშშ დოლარი და 6%);
- იმპორტი შემცირდა ქვეყნებიდან: უკრაინა (47%) და მოლდოვა (0.2 მლნ. აშშ დოლარით, მიმდინარე წელს იმპორტი არ განხორციელებულა).

წნელები ნახშირბადიანი ფოლადისგან - იმპორტი 44.9 მლნ. აშშ დოლარი (17%-ით და 9.1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: უკრაინა (33.5 მლნ. აშშ დოლარი და 75%), აზერბაიჯანი (7.1 მლნ. აშშ დოლარი და 16%), თურქეთი (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 6%), რუსეთი (1.2 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- იმპორტი შემცირდა: რუსეთი (91%), თურქეთი (56%);
- იმპორტი გაიზარდა ქვეყნებიდან: აზერბაიჯანი (7-ჯერ) და უკრაინა (4%).

მეტალოკონსტრუქციები - იმპორტი 66.6 მლნ. აშშ დოლარი (32%-ით და 30.7 მლნ. აშშ დოლარით ნაკლები).

- ძირითადი იმპორტი განხორციელდა ქვეყნებიდან: თურქეთი (37.6 მლნ. აშშ დოლარი და 56%), ჩინეთი (5.9 მლნ. აშშ დოლარი და 9%), ინდოეთი (4.1 მლნ. აშშ დოლარი და 6%), იტალია (2.8 მლნ. აშშ დოლარი და 4%), ავსტრია (2.3 მლნ. აშშ დოლარი და 3%), გაერთიანებული სამეფო (2.2 მლნ. აშშ დოლარი და 3%);
- იმპორტი შემცირდა: თურქეთი (35%), ინდოეთი (58%), გაერთიანებული სამეფო (55%), რუსეთი (50%).

საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების მიხედვით
2017 წელი
(ათასი აშშ დოლარი)

	ექსპორტი	იმპორტი	ბრუნვა
საგარეო ვაჭრობა – სულ	2,727,972	7,979,435	10,707,407
ევროკავშირის ქვეყნები	646,451	2,197,529	2,843,979
ავსტრია	5,625	63,156	68,781
ბელგია	18,033	75,444	93,478
ბულგარეთი	178,827	155,551	334,379
გაერთიანებული სამეფო	13,204	98,609	111,813
გერმანია	45,362	433,330	478,692
დანია	1,416	16,467	17,883

ესპანეთი	59,431	101,267	160,697
ესტონეთი	6,134	6,630	12,764
ირლანდია	542	29,385	29,928
იტალია	69,278	217,300	286,578
კვიპროსი	3,014	16,443	19,457
ლატვია	9,443	24,093	33,536
ლიტვა	35,130	45,548	80,677
ლუქსემბურგი	2,176	2,184	4,359
მალტა	19,441	2,347	21,788
ნიდერლანდები	40,109	154,962	195,071
პოლონეთი	18,783	127,197	145,980
პორტუგალია	86	12,334	12,420
რუმინეთი	75,024	191,014	266,038
საბერძნეთი	3,864	89,460	93,324
საფრანგეთი	26,940	134,613	161,554
სლოვაკეთი	3,053	13,570	16,623
სლოვენია	959	25,134	26,093
უნგრეთი	1,044	50,141	51,185
ფინეთი	320	17,947	18,267
შვედეთი	247	12,027	12,274
ჩეხეთი	8,935	76,952	85,887
ხორვატია	32	4,424	4,456
დსთ-ის ქვეყნები	1,180,750	2,360,870	3,541,619
აზერბაიჯანი	272,173	609,722	881,894
ბელარუსი	27,466	66,913	94,379
თურქმენეთი	21,573	119,263	140,837
მოლდოვა	3,243	11,133	14,376
რუსეთი	394,712	788,970	1,183,683
სომხეთი	208,702	281,138	489,839
ტაჯიკეთი	3,381	3	3,384
უზბეკეთი	64,156	6,921	71,077
უკრაინა	124,450	445,147	569,597
ყაზახეთი	51,447	29,633	81,080
ყირგიზეთი	9,447	2,028	11,475
დანარჩენი ქვეყნები	900,771	3,421,037	4,321,808
ავსტრალია	936	1,541	2,477
ავღანეთი	139	1	140
ალბანეთი	51	222	273
ალჟირი	325	8	332
ანგოლა	6,327	-	6,327
არაბთა გაერთიანებული საამიროები	37,441	144,750	182,191
არგენტინა	-	3,345	3,345
აშშ	121,794	267,746	389,540

ახალი ზელანდია	69	1,492	1,560
ბანგლადეში	667	1,616	2,283
ბაჰამები	-	2,822	2,822
ბაჰრეინი	241	3	244
ბელიზი	-	85	85
ბოსნია და ჰერცეგოვინა	4	402	406
ბოტსვანა	-	1	1
ბრაზილია	2	95,743	95,745
ბუტანი	20	-	20
გაბონი	-	7,048	7,048
გამბია	-	25	25
განა	452	-	452
გვატემალა	93	-	93
გიბრალტარი	6,344	-	6,344
დომინიკელთა რესპუბლიკა	-	15	15
ეგვიპტე	6,429	8,694	15,123
ეთიოპია	228	276	504
ეკვადორი	-	18,951	18,951
ერაყი	31,382	3,130	34,512
ვენესუელა	1	-	1
ვიეტნამი	2,712	7,455	10,167
ვირჯინის კუნძულები, ბრიტანეთი	-	297	297
ზამბია	1	13	14
ზიმბაბვე	4,748	-	4,748
თურქეთი	216,567	1,372,803	1,589,370
იამაიკა	-	1	1
იაპონია	7,362	138,468	145,830
ინდოეთი	8,962	47,773	56,735
ინდონეზია	0.3	11,872	11,872
იორდანია	87	371	458
ირანი	76,327	105,155	181,482
ისლანდია	43	6,124	6,167
ისრაელი	7,005	13,253	20,258
კამბოჯა	-	9	9
კანადა	2,373	29,840	32,213
კენია	1,580	808	2,388
კოლუმბია	682	10,167	10,849
კონგო	-	1	1
კორეა, რესპუბლიკა	17,451	80,994	98,444
კოსტა-რიკა	17	377	394
კოტ-დივუარი	1	-	1
კუბა	3	137	140
ლიბანი	437	1,066	1,503

ლიბია	1,025	313	1,338
ლიხტენშტაინი	60	466	526
მავრიტანია	-	59	59
მაკაუ	4	-	4
მაკედონია	146	498	643
მალავი	2,955	136	3,091
მალაიზია	66	10,535	10,601
მალი	-	70	70
მაროკო	2,785	2,286	5,071
მარტინიკა	58	-	58
მარშალის კუნძულები	-	21	21
მექსიკა	11,697	3,118	14,815
მონგოლეთი	1,092	-	1,092
მონტენეგრო	125	11	136
ნეპალი	0	14	14
ნიგერი	93	0	93
ნიგერია	17	17	34
ნორვეგია	850	12,394	13,244
ომანი	10	213	222
პაკისტანი	780	3,135	3,915
პალესტინა	77	-	77
პანამა	1,980	94	2,074
პარაგვაი	0	-	0
პერუ	3,869	45	3,914
სამხრეთი აფრიკა	103	15,015	15,118
სან-მარინო	-	153	153
საუდების არაბეთი	3,918	3,261	7,179
საფრანგეთის პოლინეზია	-	3	3
სენეგალი	181	-	181
სერბეთი	221	6,953	7,173
სიერა-ლეონე	12	-	12
სინგაპური	13,753	13,765	27,518
სირია	174	203	376
სუდანი	1,804	13	1,816
ტაივანი, ჩინეთის პროვინცია	964	7,578	8,541
ტაილანდი	255	21,698	21,953
ტანზანია	998	-	998
ტუნისი	2,424	326	2,750
უგანდა	91	15	107
ურუგვაი	46	1,297	1,343
ფილიპინები	277	475	752
ქუვეითი	1,678	30	1,708
ყატარი	1,281	710	1,992

შვეიცარია	71,560	48,113	119,673
შრი-ლანკა	1	1,161	1,161
ჩილე	478	46,979	47,457
ჩინეთი	207,218	732,293	939,511
ჯიბუტი	-	75	75
ჰაიტი	-	24	24
ჰონ-კონგი	6,348	102,576	108,924